ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**გამოყენებითი ენათმეცნიერება**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ჰუმანტარული მეცნიერებების მაგისტრი ენათმეცნიერებაში MA in Linguistics
პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა(სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი, 120 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფ. ნინო დობორჯგინიძე. პროფ. ირინა ლობჟანიძე
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2012 და განახლდა 2022 წელს. პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით მისი განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის საფუძველზე. აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შემდეგ სფეროებში: ჰუმანიტარული მეცნიერებები (ნებისმიერი მიმართულება), სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისიტიკა და ინფორმაცია, განათლება), ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები. შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა (მოტივაცია, დარგობრივი ტექსტის მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზი, ინგლისური ენის ცოდნა B2 დონე).

ინფორმაცია მისაღები გამოცდების პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ დეტალურად მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“ და თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge რუბრიკაში ”მიღება”.

პროგრამის მიზნები

გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალკვალიფიციური ლინგვისტი, რომელიც წვლილს შეიტანს დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში და განუვითარებს სტუდენტს გამოყენებითი ენათმეცნიერების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ღრმა და სისტემურ ცოდნას; შეასწავლის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს ენათა ტიპოლოგიისა და უნივერსალიების ჭრილში; გამოუმუშავებს საანალიზო მასალის კომპიუტერული დამუშავების უნარებს; ჩამოუყალიბებს სტუდენტს პატივისცემას სახელმწიფო ენისა და ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ; შეასწავლის საკუთარი მოსაზრებებისა და იდეების გაზიარებას აკადემიური სტანდარტების შესაბამისად.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

კურსდამთავრებული:
1. ავლენს გამოყენებითი ენათმეცნიერების ღრმა და სისტემურ ცოდნას და ითვალისწინებს მის თეორიულ საფუძვლებს და გამოყენებით პოტენციალს;
2. სიღრმისეულად აანალიზებს და გადმოსცემს ქართულის და სხვა ენების ფონეტიკას, მორფოლოგიასა და სინტაქსს ენათა ტიპოლოგიისა და ლინგვისტური უნივერსალიების ჭრილში;
3. სიღრმისეულად განიხილავს ლინგვისტური კვლევის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის, ენობრივ ვარიაციას, ენის ცვლილებას სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში სხვადასხვა მიდგომის გათვალისწინებით;
4. კომპლექსურად განსაზღვრავს და პრაქტიკულად იყენებს საანალიზო მასალის შეგროვება-დამუშავების საველე და სხვა მეთოდებს;
5. ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებული აკადემიური სტანდარტების შესაბამის ორიგინალურ სამაგისტრო ნაშრომს და წარუდგენს დარგის სპეციალისტებს და/ან არასპეციალისტებს;
6. მიზნობრივად სარგებლობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსებით; სხვადასხვა სასწავლო, საქმიან და საკვლევ გარემოში მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად, მათ შორის განსაზღვრულ ვადებსა და ინტენსიურ რეჟიმშიც;
7. პატივს სცემს ქართულს, როგორც სახელმწიფო ენასა და უმცირესობათა ენებს, ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ.

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- ელექტრონული და შერეული სწავლების ელემენტები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში;
- ჯგუფური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- სუპერვიზია;
- რეფლექსია.

სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდიც, რომელიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

ჰუმანტარულ მეცნიერებებათა მაგისტრი ენათმეცნიერებაში აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, შემდეგი სქემით:
<u>**პროგრამის სტრუქტურა:**</u>

1. სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი;
2. სავალდებულო-არჩევითი კურსები- 48 კრედიტი;
3. არჩევითი კურსები- არაუმეტეს 12 კრედიტი;
4. სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპომენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

დასაქმების სფეროები

- ნებისმიერ სფეროში eHumanity–ს (ციფრული ჰუმანიტარიის) მიმართულებით;
- შესაბამისი პროფილის კვლევითი ინსტიტუტები, ცენტრები;
- უმაღლესი საგანმანათლებული დაწესებულებები;
- ბეჭდური და ელექტრონული გამომცემლობების სფერო;
- ბეჭდური და ციფრული ჟურნალისტიკა (ბეჭდური და ელექტრონული ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზია, ონლაინ მაუწყებლობა);
- მასობრივი მედია;
- კულტურის სფეროსა და სამეცნიერო ინსტიტუციებში, რომლებიც ტექსტური მემკვიდრეობის დოკუმენტაციის, დაცვისა და კვლევის პრობლემატიკაზე მუშაობენ.

კურსდამთავრებულმა სწავლა შეიძლება გააგრძელოს სადოქტორო საფეხურზე.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი;
- უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერული სწავლების ლაბორატორია;
- უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის ტექსტური ბაზები;
- საუნივერსიტეტო ტექსტური და აუდიო-ვიდე ო მონაცემთა საცავი (ეთნოგრაფიული ბაზა);
- უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის მიერ შექმნილი პროგრამული რესურსები;
- სალექციო აუდიტორიები;
- ბიბლიოთეკა მისი მუდმივად განახლებადი უცხოენოვანი ლიტერატურის ფონდით, უახლესი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, ლექსიკონებით, აუდიო-ვიზუალური მასალით;
- უნივერსიტეტში არსებული სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის შიდა საუნივერსიტეტო ქსელი „არგუსი“, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ;
- E-learning , Turnitin;
- პროგრამული უზრუნველყოფა: IPA help, Praat, AntConc 3.2.1, ToolBox, Syntax Tree Editor, ELAN, Oxygen, TEIPublisher, BootCat, memoQ, OmegaT, VLC media player, Trados და სხვ.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზები;
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ტექსტური ფონდები.

სწავლის პროცესში სტუდენტი ჩართულია და მუშაობს კორპუსის ლინგვისტიკის მიმართულების საუნივერსიტეტო და ერთობლივ პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ლინგვისტურ კვლევათა ცენტრში. სარგებლობს ამ პროექტების ლინგვისტური და ტექნოლოგიური ბაზებით, პროგრამული რესურსებით და სტანდარტებით.